№ 228 ოქტომბრის 21, კვირა. 1866—1884 ოქტომბრის 21, კვირა. № 228

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავად წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს ოქტომბრის 24-ს.

„დროების“ რედაქცია გადავიდა

ახალს სადგურში,

დ. სარაჯოვის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

არწრუნისეული თეატრი

ორშაბათს, ოქტომბრის 22-ს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

ქოროღლი

ტრაგედია ოთხ მოქმედებად

თხ. ზ. ანტონოვისა.

დასაწყისი 8 საათზედ.

ფასები ჩვეულებრივია.

## შინაური ქრონიკა

— ამ ხუთის წლის წინად ერთის ღარიბის სტუდენტისათვის გაიმართა წარმოდგენა ქ. თბილისში სცენის მოყვარულთა მიერ. ფული სულ შემოვიდა ხარჯს გარდა 236 მან. და გარდაეცა დანიშნულებისამებრ ხსენებულს სტუდენტს, მ. ა. ია-შვილს. დღეს ამ პირს კურსი შეუსრულებია და უთხოვნია წარმოდგენის გამართვის მოთავესთვის, ფული ისევ დაიბრუნეთ, რადგან მე საშუალება არ მაკლია ეხლა და პირობაც ასეთი მქონდა, რომ უნდა დამებრუნებინაო. მოთავეს წარმოდგენისას ქ. ე. ლ—ძისას, სამი სხვა მონაწილეს სურვილის თანხმად, ეს ფული მიღებისათანავე გაუგზავნია ხარკოვის უნივერსიტეტის ერთის ღარიბის სტუდენტისათვის ზ. ი. ქ—შვილისათვის.

სრულის თანაგრძნობის ღირსია ამ გვარი ქცევა ზ. ა. ი—ლისა. ეს ქცევა თუმცა მხოლოდ მოვალეობის აღსრულებაა მის მხრივ; მაგრამ განა მტკიცედ მოვალეობის აღსრულება ჩვენს დროში იშვიათს მოვლენას არ შეადგენს?

ურიგო არ იქნებოდა, რომ ამ გვარადვე კეთილ-შობილურად მოიქცეოდნენ ის პირნი, რომელთაც თავიანთ სტუდენტობის დროს ხელი გაუმართნიათ სხვა-და-სხვა გვარად საზოგადოებისაგან შეკრებულის ფულით და დღეს კი არა თუ გაჭირვებულნი არ არიან, არამედ შეძლება და ქონებაც კი მოუხვეჭიათ და დიდს ჯამაგირს იღებენ ყოველ-წლივ.

— ჩვენ გვწერენ, რომ დ. ძველ სენაკის სათავადაზნაურო მოსამზადებელს სკოლაში ამ ჟამად სწავლობს სულ 98 ყმაწვილი, მერმისისათვის მესამე განყოფილება მოემატება სკოლასა და ამას გარდა პარალელური განყოფილებაც უნდა დაერთოს ერთ-ერთს მათგანსაო.

— ხონიდამ გვწერენ: „ეს ერთი თვე შესრულდა, რაც ბ. სოკოლოვი ჩამოვიდა აქ და აქაურის საოსტატო სემინარიის დირექტორის თანამდებობას ასრულებს. იგი პირველად ყოფილა სამსახურში პეტერბურგს, იქიდგან გადაუყვანიათ საოსტატო სემინარიის დირექტორად ირკუტსკის გუბერნიაში; შემდეგ სტავროპოლის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორად გაუმწესებიათ და დღეს ჩვენში გადმოიყვანეს საოსტატო სემინარიის დირექტორადაო.

— ამიერ-კავკასიის საფილოქსერო დასს გაუსინჯავს ვენახები სიღნაღის მაზრის შემდეგს სოფლებში: ყარაღაჯში, ხირსაში, კარდენახში, ვეჯინში, გურჯაანში და ველის-ციხეში. არც ერთ ვენახში, რომელნიც კი გაუსინჯავს, ფილოქსერა არ აღმოჩენილა. ამ დასის ერთს რაზმს გორის მაზრაში უსინჯავს ვენახები: სოფ. ტირძნისში—1 ვენახი, დ. ცხინვალში—5, სოფ. თამარაშენში—1, ტყვიავში—1 და კარალეთში—1. არც ამ ქართლის ვენახებში უპოვნია რაზმს ფილოქსერა და, მადლობა ღმერთს, რომ არ უპოვნია! (გაზ. „კავკაზი“).

— ალექსანდროპოლიდამ სწერენ ამავე გაზეთს: „აქაურ საპყრობილეში მყოფმა ტუსაღმა იგნატოვსკიმ ამ დღეებში საშინელი საქმე ჩაიდინა: თავის კამერის ფანჯრიდამ მან გამოტეხა შუშა, მოიჭრა ყური შუშის ნაჭერით და შესჭამა. ეს იგნატოვსკი აქაური პრისტავის შვილია და მამას ბავშობიდანვე გამოუგდია სახლიდამ. საწყალი ნახევრობით მშიერ მწყურვალი ქურდობაში დაუჭერიათ და ამისათვის აგერ სამი წელიწადია, ტუსაღად ზის. უცდია თავის მოწამვლა, პირსახოცითაც კი თავის დახრჩობა მოუწადნია, მაგრამ ვერ მოუხერხებია.

სამართალი გაამართლებს ამ საცოდავსო, მაგრამ როდის-და?

## „დროების“ კორესპონდენციები

—

ქუთაისი, სექტემბრის 30-ს. ჩვენში ორი „გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა“ არსებობს; ერთი ჭიხაიშისა და მეორე ქუხისა და ზუბისა. პირველი რვა წლისა არის, მეორე მარტო ოთხის თვისა; ჭიხაიშის „ამხანაგობა“ სამასზე მეტმა ამხანაგმა დააარსა, ქუხისა და ზუბისა-კი მარტო ოცდა-რვამ. ჭიხაიშისას დღეს ეთვლება ორასზე ცოტა ნაკლები ამხანაგი,

«დროების» ფელეტონი, ოქტ. 21-ს

## საკვირაო ფელეტონი.

მაძღარი შემოდგომა.—უხვი მოსავალი ფელეტონისტისათვის.—თ. მ. ერისთავი დაგვითმია.—„ახალი მიმოხილვა“ და ბ. ზაქარია ჭეიშვილი.—ჩიჩუას პროცესი.—განცხადებანი.

«შემოდგომა მაძღარიაო», — იძახის მემამულე, რომელიც თავის ბეღლებს პურითა და ქერით ავსებს; «შემოდგომა მაძღარიაო»,—ამბობს ვენახების პატრონი, რომელიც ოციანებში მოჩუხჩუხე ტკბილს ასხამს; «შემოდგომა მაძღარიაო»,—იძახიან გაზეთების გამომცემლები და ხელებს იფშვნეტენ მხიარულად, რადგან ნოემბრის დამდეგიდამ ახალ ხელ-მოსაწერს ფულს უხვად მოელიან; «შემოდგომა მაძღარიაო», — იძახიან ბოლოს ფელეტონისტები, რადგან მიყრუებული ზაფხულის შემდეგ კბილზედ დასაკრავი მასალა მანანასავით ცვივა ტყვიისფერად მოღრუბლული ციდამ და ქარს რედაქციების ფანჯრებში შემოაქვს.

***

მართლაც აილეთ, თუნდა წარსული კვირა და გულზე ხელის დადებით გვითხარით, ყოფილა როდისმე ასეთი სიუხვე საფელეტონო მასალისა, როგორიც ეხლაა? მარტო ერთი თ. მ. ერისთავის წერილი კმაროდა მთელი ფელეტონის ასავსებად, მაგრამ ერთმა ჩვენმა თანამშრომელთაგანმა, რომელიც ათასში ერთხელ ამოიღებს ხოლმე „ხმას პროვინციიდამ“ გვთხოვა ეგ მასალა მე დამითმეთო და ჩვენც უარით აღარ ვაწყენინეთ, მით უფრო, რომ ორი საკბილო საგანი კიდევ სხვა გვრჩება: ეს არის გაზეთის „ახალის მიმოხილვის“ პოლემიკა ჩვენთან და ბ. ზაქარია ჭეიშვილის წერილი რედაქტორთან. ამ უკანასკნელს ვერა ვბეჭდავთ სრულიად მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, მაგრამ ვეცდებით კი ის ადგილები ამოვწეროთ აქ, რომელნიც ბ. ზ. ჭეიშვილის თავის გამართლებას შეეხებიან. ვინ არის ბ. ზ. ჭეიშვილი და ან რაში მართლულობს იგი თავსა,—ამას ეხლავ გაიგებთ.

„დროების“ № 219 „შინაურს ქრონიკაში“ წავიკითხეთ მოკლე შენიშვნა, გვწერს ბ. ჭეიშვილი, ქუთაისიდან, ვითომც „მედანოსეებზე“ რომელთა რიცხვში თავ-დაუჭერელს აკტორს, უმნო საფარველის ქვეშა, მეც გავურევივარ. ამიტომ, ჭეშმარიტების აღსადგენად, გთხოვთ თქვენს პატივცემულს გაზეთში ადგილი მისცეთ ამ ჩემს მცირე შენიშვნასაც.

„მკითხველმა რომ რამე აზრი გამოიტანოს ამ ჩემი პასუხიდგან, საჭიროა ამ თავადგანვე ავხსნა ზუსტად ზემოხსენებულს შენიშვნას, რადგან ჩემის მხრით თავის თავის დასახელებას აუცილებლად გამოჰყავს სცენაზედ ყველა ის პირნიც, ვისაც ამ „დანოსების“ საგანი შეეხება. ზუსტი თუ ავხსენით, აი რა გამოდის:

აქ წერილის ავტორი „ჭეშმარიტსა ჰხდის» ზოგიერთა პირებს და სხვათაშორის ამბობს—თქვენს გაზეთში „ერთი ახალ-გაზდა, საქმიან და სინიდისიან პირად ნაცნობი“ არის ე. მჭედლიძე; „ერთი ქვემძრომთაგანი, რომელსაც გაზეთის ძველი ნომრებიც ჩამოურიგებივენებია თბილისში, სადაც ჯერ არის,— თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე“.

არ მოგაგონებთ, ცოტაც არის, ეს თავის-თავის გაცემა «ახალი მიმოხილვის» პასუხს ჩვენს შენიშვნაზედ. ჩვენ „ახალი მი[illegible]ოვა“ დავასახელეთ ქალაქის გამგეო[illegible]ორგანად და თან კრინტიც არ დაგ[illegible]რავს იმაზედ, რომ ეს გაზეთი ორას თუმანს იღებს გამგეობისაგან ყოველად უსაჭირო განცხადებებში. «ახალმა მიმოხილვამ» კი ეს პასუხი გვიგო: რა ვუყოთ, რომ ქალაქის გამგეობის განცხადებებსა ვბეჭდავთ, განა «დროება» კი არა ჰბეჭდავს სხვა და-სხვა განცხადებებს და ამით, ვგონებთ, გამომცხადებელთა ორგანად კი არ გადაქცეულაო. აკი ვამბობთ, ჩვენ პირველად ხმაც არ ამოგვიღია განცხადებებზედ და კუდმომწყვეტმა «ახალმა მიმოხილვამ» თითონვე გამოძებნა ქალაქის გამგეობის არხივიდამ ეს ფაქტი და თითონვე გასცა თავი თვისი. სწორედ აგრეთვე მოიქცა ბ. ზ. ჭეიშვილიც: ჩვენს ქრონიკაში საზოგადოდ იყო ლაპარაკი იმ სენზედ, რომელიც მართლა რომ საზარლად გავრცელდა ჩვენში და რომელსაც „მედანოსობა“ ვუწოდეთ. სათაური ასოებითაც კი არავინ აღვნიშნავს, მაგრამ ჩვენ შენიშვნა სარკედ მოსჩვენებია ბ. ზ. ჭეიშვილს, შიგ თავის-თავი დაუნახავს და გვწერს «მედანოსედ» მე დაგისახელებივართ და საჭიროდ ვხედავ თავის გამართლებასაო.

„ვინც ამბავი არ იცისო, განაგრძობს იგი, მართლა დიდი რამ ეგონებათ; იფიქრებს, ქუთაისში მიწა ნძრეულაო; ნამდვილ კი სულ უბრალო, ჩვეულებრივი შემთხვევა გახლავთ: (ჩვენც მაგასა ვჩივით) ამა და ამ კანცელარიაში რომ დაცალა სეკრეტრის ადგილი, რასაკვირველია, მთხოვნელებიც აღმოჩნდენ: ამათ რიცხვში მჭედლიძეცა და სხვებს გარდა მეც ვარ. განსვენებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუხისა და ზუზისას-კი ორმოც-და-ათზედ მეტი. ახლად-შობილი ამხანაგობა ზრდაშია, ხნიერი მისი თანა-ძმა კი კლებაშია; ჯიხაიშის ამხანაგობის გარდაცვალება მით უფრო სამწუხაროა, რომ მის არსებობაზედ ცოტად თუ ბევრად დამოკიდებულია თვით ჯიხაიშის სასწავლებლის დაწესება და არსებობა. ამის გარდაც, ამ ,,ამხანაგობის'' აწეწვა, უკვე გარდაცვალებულის ხონის ,,ამხანაგობის'' მოგონებასთან ერთად, ხალხს გულს გაუტეხს საზოგადოდ ,,გამს. შემნ. ამხანაგობათა'' გამოსადეგობაზედ. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, განა მიზეზი ცოტა გვაქვს, რომ არ ვისურვოთ ამ გვარი საკრედიტო დაწესებულების გაქრობა?

,,ამხანაგობას'' თავიდანვე დაჰყვა თავისივე წესდების უცოდინარობა. მისი ,,გამგეობისა'' და ,,რჩევის'' წევრთა შორის მარტოდ მარტო განსვენებულმა ბ. ღ—ძემ იცოდა ,,ამხანაგობის'' ავი და კარგი, დანარჩენები კი მაშინებივით მოქმედობდენ; კიდეც შრომობდენ, კიდეც მიდი-მოდიოდენ და ფაციფუცობდენ, მაგრამ თუ მათს ნამოქმედარს აზრი ჰქონდა, — ამას ვუმადლოდით განსვენებულს ბესარიონს, ვუმადლოდით იმიტომ რომ ის იყო თავი და ბოლო ამხანაგობისა.

მაგრამ გამგეობის ერთის წევრთაგანის ამაყობამ და ამისმა შედეგმა--ამხანაგების არარად ჩაგდებამ — არა ერთი გულ-შემატკივარი და საიმედო წევრი დაუკარგა «ამხანაგობას». მ. ჩ—ძემ ესეც არ იკმარა: მან აიგდო და თითქმის სრულიადაც უარ-ჰყო «ამხანაგობის» წესდება. მისი თვით-მნებლობა და წესდების გაქარწყლება მით უფრო დაეტყო საზარალოდ «ამხანაგობას», რომ ბესარიონი ახლა აღარ ჰყავდა მას. მის შემდეგ თავს-მჯდომარედ შეიქნა ბ. ნ. ღ—ძე. ამ უხალისო თავმჯდომარის დროს მ. ჩ—ძის ყოველი უკანონო მოქმედება კანონიერად ჩაითვალა და „ამხანაგობასაც“ დაეტყო უკან-უკან წასვლა.

ყოველი სურვილი და რაიმე უგვანი მოსაზრება მ. ჩ—ძისა „ამხანაგობის“ კანონად შეირაცხა. მისს სურვილს ვერ წინაალუდგა ვერც „ამხანაგობის“ თავს-მჯდომარე ბატ. ნ. ღ—ძე და ვერც ამ უკანასკნელის მფარველობას მოკლებული წესდება «ამხანაგობისა». მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი მისი უკანონო კანონიერებისა.

„ამხანაგობის“ ძალ-ღონეს იაფად ნასესხები (6%, მაგალითად, საადგილ-მამულო ბანკიდან) ფული შეადგენს, რომელიც ,,ამხანაგობისაგან'' მოგებით (12%) სესხდება, მაგრამ ჩ—ძეს არა ჰსურს, რომ ვისმე წინაშე პასუხის მგებელი იყოს, გარდა თვით ამხანაგებისა, რომელნიც მუჭში უჭერია; ამისთვის ბეს—ნის დროს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკიდან ნასესხებს 1,500 მანათს ბანკსავე უბრუნებს თვითონ ნ. ღ—ძის სურვილის წინაალმდეგ და ამ გვარად ,,ამხანაგობას'' უფულოდ აგდებს.

მ. ჩ—ძის სურვილია, რომ მისმა ორმა ამხანაგმა, გამგეობის წევრებმა, არ იცოდენ, რასაც ის თითონ სწერს და არ სწერს დავთრებში, და ეგრეც არის: ორს წევრს გამგეობისას გაულანძღველ-გაუთრეველად არ შერჩებათ, რომ ტყუილად, ცნობის-მოყვარის თვალით მაინც გადიხედონ ,,ამხანაგობის'' დავთრებში, რომელთა კანონიერი თუ უკანონო წარმოება მათი საპასუხისგებოც არის.

იქამდე მიაღწია ჩ—ძის თვით მნებლობამ, რომ მან ერთს მშვენიერს დღეს ძალა დაატანა თავის ორს ამხანაგს—გამგეობის წევრთ, რომელთაგანს ერთს კასის გასაღები ებარა, რომ მათ კასიდგან ამოეღოთ ერთი ხუთის თუმნის თამასუქი და მოვალესთვის მიეცათ იმ საბუთის ძალით, რომ ვითომ ფული მიღებული ყოფილიყოს, მაშინ როდესაც იმ თამასუქის ხუთი თუმანი ისე არ ჩასულა ჯიხაიშის ,,ამხანაგობის'' კასაში, როგორც—დარწმუნებული ვარ—მკითხველის ჯიბეში არ ჩასულა ჩინეთის იმპერატორისაგან ნაჩუქარი ბაჯაღლოები. ეს გარემოება გამგეობის ორმა წევრმა თავსმჯდომარეს ბ. ნ. ღ—ძეს მოახსენეს, მაგრამ მისგან პასუხი არ მიუღიათ. მას შემდეგ დღესაც არავინ იცის, ის ხუთი თუმანი აკლია ,,ამხანაგობის'' კასას, თუ საიდგანმე შეუსრულდა.

წესდება ითხოვს (65—67 მუხლ.), რომ ,,ამხანაგობამ'' ყოველ-წლივ გადადვას წმინდა მოგებიდგან არა ნაკლებ 10 % ,,სათადარიკო თანხის'' შესადგენად. სათადარიკო თანხა არის ფული გაჭირების დღისთვის შენახული, რომელიც მზად უნდა იყოს იმ შემთხვევისთვის, თუ, ვინიცობაა, ,,ამხანაგობა'' ზარალს რასმე ჰნახავს. ამისთვის, წესდების ძალით, სათადარიკო თანხა, სანამ ,,ამხანაგობა'' არ დარღვეულა, ხელ-შეუხებელი უნდა იყოს სახელმწიფო ბანკის ბილეთებად და ამხანაგებზედ არ სესხდებოდეს. მ. ჩ—ძე კი თავისებურად იქცევა: ას მანათამდე სათადარიკო თანხიდან სასწავლებლის სახლს მოახმარა, დანარჩენს კი ამხანაგებზედ ასესხებს.

წესდებისავე ძალით ,,ამხანაგობის'' მოვალე ამხანაგად აღარ ითვლება იმ დღიდგან, როცა ვადა ჰქონდა ფულის გადახდისა და არ გადიხადა. იმ დღის შემდეგ მას ძალით უნდა გადახდეს ვალი. ეს მუხლი წესდებისა, როგორც მთელი წესდებაც, მ. ჩ—ძისთვის არ არსებობს. ვადის გადამცილებელი მოვალე მას ამხანაგად მიაჩნია; ამ გვარი მოვალე, რომელსაც მთელი ერთი და ხან ორი წელიწადიც გადუცილებია ვადაზედ, თუ კი გაიხსენებს როდისმე «ამხანაგობის» ვალს, მოდის გამგეობაში, სარგებელს იხდის, ახალს თამასუქს იწერს და მიდის შინ არხეინად. როგორც ერთს პირიანს ამხანაგს, მასაც ნდობა აქვს, წლისა და წლის თავზედ წილის ფულზედ სარგებელი ეძლევა, ერთი სიტყვით ისიც ამხანაგია.

ზევით წამომცდა წლისა და წლის თავზე-მეთქი, ამას ცოტაოდენი განმარტება ეჭირება, თორემ უბრალო მკითხველი ვერას გაგვიგებს. ჯიხაიშის ამხანაგობისთვის წელიწადს ოცი თვე აქვს და ხან მეტიც. როცა ნაკიანი წელიწადია, აქაური წელიწადი ოცს თვეს რამდენიმე თვით გადაემატება. ხუმრობა იქით იყოს და განსვენებულის ბესარიონის შემდეგ წლიური ანგარიში დეკემბრის მაგივრად შემდეგის წლის აგვისტოში მტკიცდებო-

---

სეკრეტრის სიცოცხლეშივე წინდახედულ მწერლიძეს ისე მოეხდინა საქმე, რომ სიტყვა დაეტყუებინა ამ თანამდებობის მისდამი მიცემაზედ და კვლავაც წარადგინეს იგი''.

მასუკან ბ. ჭეიშვილი მოგვითხრობს, თუ ვითომ რა და რა ხრიკები იხმარეს მის წინაალმდეგ და როგორ გადაუხადა მან ეს მტრობა. მაგრამ ბარემ მისივე სიტყვებით გავათაოთ:

,,კბილი კბილის წილ და თვალი თვალის წილ'' უნებურად მომაგონდა ეს მოსეს სიბრძნე და მეც ამ გვარს დალატობის დროს (ე. ი. როცა მემთავრობის წინ ლანძღვით მომიხსენიესო) ამაზედ უფრო კანონიერი გვდარა მოვიგონე რა (მაშ მოგონების ნიჭზედ ძალიან სუსტად ბრძანებულხართ). ხომ მოგეხსენებათ დარვინის თეორია: (ჩვენ მოგვეხსენება, მაგრამ თქვენ კი მოგეხსენებათ?) ბრძოლის გელზედ უფლება უძლიერესისაო. მე მით უფრო არ დავრიდე ამ საშუალებას (რა თქვენი საკადრისი იქნებოდა!), რომ მწერლიძის შესახებ სრულიად არა მჭირდებოდა ტყუილ-ტყუილის წერა, როგორც მან ინება ჩემზედ, და სულ რომ თავ-დაჭერით დამეწერა, მაინც საკმაოდ დამტკიცდებოდა, რომ ეს ვითომც ,,საქმიანი და სვინიდისიანი პირი'' ერთსაც და მეორესაც მოკლებულია და არც შეგვით გახლავსთ სოლომონი. მე, დიაღ, მართალია, გიახელით თბილისში (მოისმინეთ, მოისმინეთ!) ,,სადაც ჯერ არს'', მაგრამ ,,დანოსებით'' კი არა, ნამდვილი აშკარად ჩემი ხელ-მოწერილი განცხადებით, რომელსაც, უკაცრავად ვარ, რომ ვასაბუთებ (ძალიან უკაცრავადა ხართ, ამისთანა ,,საბუთებს'' პატიოსან საზოგადოებაში არ ,,ასაბუთებენ''). რად გაკვირვებიათ!!! ან რა უპატიოსნებას ჰხედავთ იმაში, რომ მე სხვათა შორის ამ მიზნისათვის ხელვმძღვანელობ ზოგიერთა გაზეთებით, სადაც, მწერლიძის ღრმა ჭკუის და სიმახვილის ნიმუშები მოიპოვებიან? ნუ თუ თქვენ უარს იტყვით მაზედ, რომ ადამიანის ნაწერებიდამ შესაძლოა აზრი შევადგინოთ მის ჭკუას, პატიოსნობა და სვინიდისიანობაზედ''?...

დიაღაც, რომ შესაძლოა და ეხლა სრული აზრი გვაქვს შედგენილი «ბ. ჭეიშვილის ჭკუასა, პატიოსნობასა და სვინიდისიანობაზედ». ბ. ჭეიშვილს, როგორც იწერება [illegible]არვინის თეორია კარგად მოეხსენ[illegible] და ამიტომ თავის მოპირ-და-პირი[illegible]სამარცხებლად არა გვარს საშუალებას არ შეუდრკება. მხა არის იგი მას რაიმე გაზეთის წერილები დააბრალოს, რომელნიც ნამდვილად არ იცის, ვისი დაწერილია; დასწეროს თავისგან ხელ-მოწერილი «კანონიერი განცხადება» და წარადგინოს, სადაც ჯერ—არს, ვითომ იმისთვის, რომ თავის მოპირ-და-პირის „ჭკუა, პატიოსნობა და სვინიდისიანობა დაამტკიცოს“. რასა ბძანებთ, ბ. ჭეიშვილო, რომ იმ გაზეთის რედაქციამ, რომელსაც, ცოტათი მაინც შეეხება თქვენი «კანონიერი განცხადება» და რომლისადმიც ურცხვად წერილებსაც იწერებით თავის გასამართლებლად, პასუხად გიგოთ: რა ნება გაქვთ, რომ ამ გაზეთში დაბეჭდილს წერილებს, ავტორისაგან ხელ-მოუწერელს ამა და ამ პირებს აბრალებთ და საბუთადაც მიგაქვთ, „სადაც ჯერ არს“, აზრის შესადგენად ავტორისა და მაშასადამე რედაქციის «ჭკუასა, პატიოსნებასა, და სვინიდისიანობაზედ»? ჩვენ ავტორსა და რედაქციას იმიტომ ვახსენებთ ერთად, რომ ხელ-მოუწერელი წერილები თვით რედაქციას ეკუთვნის და რედაქციაა პასუხის მგები და არა თქვენი მოპირ-და-პირე, რომელიც იქნება არც ხორცითა და არც სულით არ იყოს ამ საქმეში მონაწილე. იქნება ეს ყველაფერი თქვენ არც კი მოგეხსენებათ, თუმცა «დარვინის თეორია» შესახებ მოპირ-და-პირესთან ბრძოლისა, როგორცა ბძანებთ, საფუძვლიანად გაგიცვნიათ.

***

დავანებოთ, მკითხველო, ბ. ზ. ჭეიშვილს თავი, თუ არა? მე იმ აზრისა ვარ, რომ დავანებოთ. დავანებოთ იმიტომ, რომ ზ. ჭეიშვილი მხოლოდ ერთი იმ მაგალითთაგანია, რომელთაც „მედანოსობა“ ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნიათ და უკეირთ კიდეც, როდესაც სხვანი მათ საქციელს ღირსეულის სიტყვით იხსენიებენ. ზ. ჭეიშვილი მხოლოდ ილიუსტრაციად გამოდგება ჩვენის ცხოვრების მიმდინარეობის გასაცნობად, თორემ სხვა ფასი მის პიროვნებას არა აქვს-რა. შესანიშნავი ის არის, რომ იქნება ეს სუბიექტი არც კი გრძნობს დანაშაულობას და თავს სწორედ იმ გვარ საბუთებით მართლულობს, რომელნიც მართლა კარგ საბუთებად გამოდგებოდენ... მისს გამამტყუნებელს ოქმში. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ბ. ჭეიშვილს თანაზიარიც ბევრი ჰყავს, რომელნიც მის მოქმედებაში არავითარს წუნს არა ჰხედავენ და მზანი არიან მის კვალს მისდიონ, ოღონდ ,,დარვინის თეორიისამებრ'' არსებობისათვის ბრძოლაში კაი ალაგი დაისაკუთრონ. თითქო გამოჩენილმა ბოკლმა სთქვა, რომ ქრისტეს აქეთ ზნეობა თითქმის არ შეცვლილა, სულ იმავე დონეზედა სდგას, მხოლოდ კაცობრიობა გონებით ვითარდება და ეს გონებითი განვითარება ხელს უწყობს მის წინ-წაწევასაო! უწინ ,,მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბ. ნ. დ—ძის მოწყალებით, რომელიც მაშინაც ძლიერ მოახერხებდა ხოლმე თავის სოფელში მობძანებას „ამხანაგობის“ წლიურის ყრილობის მოსახდენად. მაგრამ წელს ჯერაც არ დამტკიცებულა 1883 წლის ანგარიში, რადგან ,,ამხანაგობის'' თავსმჯდომარე ალარსადა სჩანს და მ. ჩ—ძესაც შეუტყვეს ხრიკები და ანგარიშს ისე ადვილად და შინაურულად აღარ უმტკიცებენ, როგორც ამდენ ხანს ყოფილა.

ვატყობ, რომ მოვაწყინე მკითხველს, მაგრამ ეს არის მეც ვათავებ იმ იმედით, რომ თუ ამდენს უწესოებას ჯერ კიდევ მთლად არ დაუმხია ჭიხაიშის ,,გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა,'' ეტყობა მას ჯერ კიდევ მოსდევს მისი დამაარსებლის განსვენებულის ბეს. დ—ისაგან ჩაბერილი სული, რომელიც ხალხს შეუთვისებია ,,ამხანაგობის'' საჭიროებასთან ერთად; ხალხს შეუგნია ,,ამხანაგობის'' საჭიროება, რითაც უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ერთისა და ორის უკულმართობამ ვერ ააყრევინა მას გული ამ სასარგებლო დაწესებულებაზე.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ამტკიცებს, რომ რაიმე ნაირად შესაძლო იყოს ,,ამხანაგობის'' დაურღვევლად მისი დღევანდელი მდგომარეობის გაგრძელება. არა, საჭიროა დაუყოვნებლივ განწმენდილ იქმნას ,,ამხანაგობა'' უკულმართის პირებისაგან. ამისთვის საქმე აღარ უნდა გადასდონ, უნდა მოიწვიონ საქმის მცოდნე პირი, თუნდა ეს ხარჯადაც დაუჯდეს ,,ამხანაგობას''. ამ პირმა ,,ამხანაგობისგან'' ამორჩეულ კომისიასთან ერთად უნდა მოსთხოვოს გამგეობას ანგარიში და გადაათვალიეროს გულ-დასმით დავთრები, ბესარიონის გარდაცვალების შემდეგ ნაწარმოებნი. როცა ცოდვა-მადლი გაგებული იქნება, ,,ამხანაგობა'' ყველას საქმეთა-ებრ მათთა მიაგებს და შემდეგ განახლებულს ცხოვრებას შეუდგება გულ-დაჯერებული, რომ ,,გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა'' რამოდენადაც სასარგებლოა სოფლისთვის, იმოდენადვე უზრუნველი ყოფილა ყოველგვარის უკანონო ,,ხელის ფათურისაგან''.

# ტელეგრამები

«ჩვენის კორესპონდენტისაგან».

სუხუმი. ადგილობრივის ბატალიონის კომანდირმა პოლკოვნიკმა ნიკო წულუკიძემ თავი ჩამოიხრჩო.

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

ოქტომბრის 19-ს.

შანხაი. ჩინელები ვუსუნგთან მდინარეს ჰკრავენ და ჯარებს შანხაისკენ და პეკინისკენ აგროვებენ.

თეირანი. ლამასდენი და ევროპიელი წევრები ავგანის სასამზღვრო კომისიისა მოვიდნენ მეშხედში. ავგანის ემირმა გამოსცა ბძანება, რომლითაც იწვევს ხალხს მეგობრულად მოექცნენ ხსენებულს კომისიას.

ოქტომბრის 20-ს

ბერლინი. დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ტკბილად გამოესალმა იმპერატორს ვილჰელმს პრინცებითურთ და გეშინ პარიჟში წავიდა სადაც შეეყრება თავის მეუღლეს, ამ სტერდამიდამ მიმავალს.

მარსელი. აქედამ გასულ გემებს სუფთა პატენტები ეძლევათ; ამით მტკიცდება, რომ ხმელთა-შუა ზღვის ნაპირებზე ხოლერა სრულებით მოისპო.

# ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც ტფილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. საზებით, სქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლებლად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლებლად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა: გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრმიშევი ამით აცხადებს, რომ ქ. ტფილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად ამ ოქტომბრის 5-დგან შემოღებული იქნება მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფარსადანოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაბინოვისა, ორშაბათობით, და პარასკევობით.

---

დანოსობა'' ისეთ ცუდად მიაჩნდათ, რომ ,,მედანოსე'' პატიოსან საზოგადოებიდამ გამორიცხული იყო და არამც თუ გაზეთებში თავის მართლულობას ვერა ჰბედავდა, დღის სინათლესაც კი ემალებოდა და მართლა ქვემძრომობდა, როგორც სულიერად, ისე ხორციელად. ეხლა სულ სხვაა. ეხლა ,,მედანოსეები'', როგორც ჰხედავთ, დარვინის თეორიებით ხელმძღვანელობენ და თავიანთ ,,სინიდისიანსა და პატიოსან'' მოქმედებას საქვეყნოდ აღიარებენ. დიაღ, დრონი იცვალნენ და იცვალნენ ისე, რომ ზნეობას ეხლა სულ სხვა ზომითა ვზომავთ, სულ სხვა საფასით ვაფასებთ.

***

ამ დღეებში გაირჩა ტფილისის სასამართლოში ბ. ჩიჩუას საქმე. ჩიჩუა მკვლელია მსხრიკაძისა, რომელმაც «საქართველოს» სასტუმროში მას შეურაცხება მიაყენა. ჩხუბი წარმოსდგა იმ მიზეზის გამო, რომ ჩიჩუა თავის ამხსონებთან ერთად «მრავალ-ჟამიერსა» მღეროდა და ეს «მრავალ-ჟამიერი» მსხრიკაძის განათლებულს ყურს ველურ სიმღერად მოსჩვენებია. ჩიჩუას ეს უსაყვედურნია და მსხრიკაძისაგან პასუხად ახალ-მოდური შეკურთხება მიუღია „მრავალ-ჟამიერისაც და იმის მომგონისაც“. ვწუხვართ ბ. მსხრიკაძის გულისთვის, რომ ასე უდროოდ გამოესალმა წუთი-სოფელს; ვწუხვართ ჩიჩუას გულისთვისაც, რომელმაც ცხელ კოლხიდის მაგივრად გაყინულ არხანგელის გუბერნიაში უნდა იმღეროს «მრავალ-ჟამიერი», მაგრამ წუხილს თავი დავანებოთ და ისევ მიზეზი გამოვძებნოთ. მიზეზი, ჩვენის აზრით, შემდეგია: მსხრიკაძეც მიმდევარი ყოფილა იმ პირთა, რომელთაც დარვინის თეორია თავიანთებურად ესმით და იმ აზრისანი არიან, რომ, რაკი დიდი თევზი მცირესა ჰყლაპავს, დიდმა პირუტყვებმაც წვრილნი ცხოველნი უნდა გადაჰყლაპონო და ამ გადაყლაპვის ასაცილებლად წვრილებმა დიდებს უნდა მიჰბაძონ და ამ პირუტყვებსავით იმქევრმეტყველონო. მაგრამ მსხრიკაძეს მეორე მუხლი დავიწყებია ამავე თეორიისა, რომელიც ზ. ჭეიშვილს კარგად ახსოვს და რომელიც გვაუწყებს, რომ არსებობისათვის ბრძოლაში ძლიერი ყოველთვის გამარჯვებული გამოდისო. მსხრიკაძეს რომ თავისი ღონე ჩიჩუას ღონისთვის შეეწონა და ისე მოქცეულიყო, ეხლა იგიც სახელმწიფო ქონებათა გამგეობაში კანცელიარიის ქაღალდებს დამშვიდებული უჯდებოდა და არც ჩიჩუას გაუხდებოდა საქმე საარხანგელოდ.

***

საბრალო დარვინის თეორია! არ ეყო მას ნემეცებისაგან ჯიჯგნა და ათას-გვარად გადაზომ-გადმოზომა. იგი ხელის ხელცახოცად გაიხადა ყველამ, ვისაც კი ზნეობის კოდექსში სხვა თავის გასამართლებელი საბუთი ვერა მოეპოვება-რა. იგი შეიქმნა იარაღად იმ „მედანოსეთა“, რომელნიც თავიანთ წინააღმდეგებთან საბრძოლველად არავითარს ჰუჭყიანს საშუალებას აღარ ერიდებიან; მას ეკედლებიან ისინი, რომელნიც თავიანთ სახეს ისხვაფერებენ, დედას დედინაცვალზედ სცვლიან და მათდამი მიმართულს სამართლიანს საყვედურს თავიდამ უშვერის ლანძღვა-გინებით იშორებენ.

მაგრამ დეე მკვდარნი მარხონ მათთა მკვდართა, ოღონდ ცოცხლებს მაინც სიცოცხლის ნიშან-წყალი ნუ გამოელევათ...

## განცხადებანი:

### დარვინის თეორია

ახლად ჩემგან ინგლისურიდამ გადმოქართულებული წიგნი. გამოსადეგია ყველა თანამდებობის პირთათვის, განსაკუთრებით სეკრეტრის ალაგის მძებნელთათვის.

ქარია ზადანოსაშვილი.

(10—1)

—

დროება წახდა (კალამბური არ გეგონოთ)!! თარაშვილი ვინ მ—ია, რომ მე სიტყვის შემობრუნებას მიპირებს?!

ო. მ. ე.

—

### ვამზადებ მკვიდრ შკაფებს.

მე გავიგე, რომ ერთს დაწესებულებაში ქუთაისიდამ მოსულ «კანონიერ განცხადებათათვის» შკაფები აღარა ჰყოფნიათ, სულ დავსილან. ვთხოვ მე შემომიკვეთონ. თუ საჭიროა, მოწმობებს წარვადგენ სხვა-და-სხვა კანტორებიდამ.

ადრესი: Столярная мастерская, Недоношенная ул. № 20.

(3—1)

—

### საჩივარს ვარდგენ

დროების ქუთათურ მეჭელტონეზე — რაულ-დე-ლა-ტრამბლეზე. რომელმაც ტყავი გამაძრო, მაგრამ ჭუჭყი კი ვერ მომაშორა. ვინც ჯეროვანს არზას დამიწერს, ჯილდოდ სიტყვას ვაძლევ, ჩემს არე-მარეზე აღარ გავატარო.

ორპირის ქუჩა.

ადრესი: ქუთაისში, სილაზედ.

სტეფანწმინდისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა. ხუთშაბათობით და კვირაობით.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე 1884 წ.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა | 1 გირ. | 5 კ. |
| ქართულის ფქვილისა: პირველის ხარისხისა | 1 გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა | 1 გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | |
| პირველი ხარისხის | 1 გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა | 1 გ. | 3 კ. |
| მესამისა | 1 გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა | 1 გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა | 1 გ. | 7 კ. |
| მეორისა | 1 გ. | 6 კ. |
| სუკი . . . | 1 გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა | 1 გ. | — კ. |
| მეორისა | 1 გ. | — კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი

უმორჩილესად მოვახსენებ თბილისის პატივცემულს საზოგადოებას, რომ დღეს თბილისშია გამოჩენილი მხოლოობითი მუზეი ვინტერისა, რომელსაც ვაჩვენებდით ევროპის ყველა სატახტო ქალაქებში, როგორც მაგალითად: ს. პეტერბურგში, მოსკოვში, პარიჟში, ვენასა და ბერლინში.

დაწვრილებითი ცნობანი მუზეის გახსნისა აფიშებით იქნება გამოცხადებული.

მუზეი იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, მირზოევის ადგილზე

(2—2) ვ. ვინტერ.

### წერა-კითხვის საზოგადოების მმართველობისაგან.

«ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობა» უმორჩილესად სთხოვს პატივცემულ წევრთ, როგორც დამფუძნებელთ, ისე ნამდვილთ, წარმოგზავნონ თავიანთი ხვედრი საწევრო ფული ამა 1884 წლისა, პირველთ ოც-ოცი მანათი, ხოლო მეორეთ—ექვს-ექვსი, შემდეგის ადრესით:

ТИФЛИСЪ. Казначею Общества Распространенія Грамотности среди грузинскаго населенія Георгію Давидовичу Картвелову (Михаиловская улица, собст. домъ). (10—7)

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი

### არითმეტიკა

სახელმძღვანელოდ სოფლის სასწავლებელთათვის, შედგენილი მიხეილ ზაალის-ძის ყიფიანისაგან.

ფასი 80 კ. გაგზავნით 1 მან. (10—4)

გამოვიდა და იყიდება

### ელისო

მოთხრობა ჩეჩნელთ ცხოვრებიდგან

თხზულება ა. მ. ყაზბეგისა.

ფასი 25 კაპ.

იყიდება თბილისში: გრიგოროვის წიგნების მაღაზიაში და არწრუნისეულს სათეატრო კასაში.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ამავე ავტორის თხზულებანი:

ელგუჯა, ისტორიული მოთხრობა. არსენა, დრამა 3-ს მოქმედებად. Დილა ქორწილის შემდეგ, კომ. 1-ს მოქმედებად და „თხზულებანის" პირველის ტომის, პირველი ნაწილი. (20—5)

გამოვიდა და იყიდება

### სამი კომედია

ა. ცაგარლისა

ფასი 60 კაპ.

თბილისს: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და შავერდოვის სააგენტოში.

გორში: მარიამ კერესელიძესთან.

ცხინვალში: ქეთევან ჟურულთან.

ქუთაისში: ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მოსე ნათაძესთან.

(6—6)

პატივის-ცემით ვაუწყებ თბილისის საზოგადოებას, რომ ჩამოვიდა თბილისში გამოჩენილი მსწრაფლ-მსრბოლი ფრანცუზი

დოლატუში.

(3—2) გუდეზონი.

### ინგლისური რკინის კრაოტები.



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფოგნიკი, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თებშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, სლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, გაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ.

ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—60)

### ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | მოსკოვის ჩაის | |
|---|---|---|---|
| | 1 მ. 10 კ. | | 1 მ. 40 კ. |
| — — | 1—20 | — — | 1—60 |
| — — | 1—40 | — — | 1—80 |
| — — | 1—60 | — — | 2—,, |
| — — | 1—80 | — | 2 —50 |
| საუკეთესო | 2—,, | — | 3 —,, |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—91)

### ნაფიცი ვექილი

ივანე იაკობის-ძე

დოლგოლენკო

გადავიდა სპანდარიანცის სახლებში, № 12, სოლოლაკის ქუჩაზე, ერეკლე გრუზინსკის სახლის პირ-და-პირ. (2—2).

საკლობუსო 

კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები უოვერლის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთლი, სალესი, ცარაშვები ჭურჭლის საწმედად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, სექიმო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—19)

### სამგვარი სიყვარული

მოთხრობა

ეკატე წერეთლისა

(„დროების" რედაქციის გამოცემა.)

ფასი 30 კაპ.

(ვინც ორ ან მეტ ეგზემპლარზე მეტს იყიდის ერთბაშად, 10% დაეთმობა.)

წიგნი იყიდება ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ კერესელიძის წიგნის მაღაზიაში, შავერდოვის სააგენტოში და ჩარკვიანის მაღაზიაში. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ბათუმში, მოსე ნათაძესთან, ოზურგეთში, საზოგადოების ლავკაში. შორაპანში ფილიპოვის და ... „დროების" რედაქციაში. (10—9)

Доз. ценз. Тифлисъ, 20 Октября 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი